

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ფურცხვანიძე

**პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ურთიერთმიმართებანი
ქართულსა და ინგლისურში**

ფილოლოგიის დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სპეციალობა: ტიპოლოგიური ლინგვისტიკა

თელავი
2017

ნაშრომი შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიისა და უცხო ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტებში

სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი:

მანანა ღარიბაშვილი, პროფესორი
ნუნუ გელდიაშვილი, პროფესორი

შემფასებლები:

მანანა რუსიეშვილი, პროფესორი
თამილა ზვიადაძე, ასოცირებული
პროფესორი

დაცვა შედგება 2017 წლის ”_____” _____, _____ საათზე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე: კორპუსი _____ აუდიტორია _____.

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1
ტელ: +995 350 27 24

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ვებ-გვერდზე: <http://tesau.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი: ნინო კოჭლოშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი „პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ურთიერთმიმართებანი ქართულსა და ინგლისურში“ შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნითი ნაწილისა და ორი დანართისაგან. ნაშრომის შესავალში გაანალიზებულია საკვლევი თემის აქტუალობა, კვლევის მიზნები, ამოცანები, ანალიზის მეთოდები, მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ურთიერთმიმართებების ტიპოლოგიურ ჭრილში კვლევა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საკვლევი ობიექტის მრავალმხრივ ანალიზს და შესაბამისი დასკვნების განზოგადებას. პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ურთიერთმიმართებანი წარმოადგენს რთულ სოციო-ლინგვისტურ, სტრუქტურულ თუ სემანტიკურ სისტემას, რაც იწვევს ენათმეცნიერთა, ლინგვოკულტუროლოგთა და გენდერული მეტყველების შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართა ინტერესს.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე ლინგვისტიკაში გენდერული დისკურსის მიმართ გაძლიერებული ინტერესი. კვლევის პროცესში ძირითადად გამოვიყენეთ ისეთი ლიტერატურული ტექსტები, რომელთა კორპუსზე დაკვირვება შესაძლებელია, როგორც ორიგინალში, ასევე, თარგმანში. საანალიზო წყაროებზე დაყრდნობით განვახორციელეთ კვლევის შედეგად გამოვლენილი უნივერსალების კლასიფიკაცია, შევისწავლეთ ისინი მორფო-ფონოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ნიშნით. გავანალიზეთ გენდერული ლექსიკისთვის დამახასიათებელი მსგავსება-განსხვავებები ორ ენას შორის შედარება-შეპირისპირების გზით.

ქალ და მამაკაც მოსაუბრეებს შორის განსხვავებები პირველად ანთროპოლოგებმა და დიალექტოლოგებმა შეისწავლეს მე-17 საუკუნეში, როდესაც სხვადასხვა ერის მეტყველების ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტებს აკვირდებოდნენ. ტერმინი „ქალური“ და „მამაკაცური“ მეტყველება სათავეს სწორედ აქედან იღებს, რაც მოგვიანებით გენდერლექტიკისა და გენდერული-ფემინისტური თეორიების საფუძვლად იქცა. ენათმეცნიერების ინტერესს წარმოადგენდა ძირითადად ის განსხვავებები ქალ და მამაკაც მოსაუბრეებს შორის, რაც ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ,

სინტაქსურ და ლექსიკურ დონეებზე ვლინდებოდა. ჩვენი კვლევის ძირითადი არსი სწორედ ამ განსხვავებულობის შესწავლაა ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურულ კორპუსზე დაკვირვებით.

ნაშრომის მიზანი: ლიტერატურულ პერსონაჟთა მეტყველების ლინგვისტური მახასიათებლებისა და მათი განმაპირობებელი ზოგადი ფაქტორების, ასევე, ემოციური და ექსპრესიული ფორმების შესწავლა ტიპოლოგიურ ჭრილში; მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი **ამოცანები:** (1) გენდერული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის კლასიფიკაცია და ქართული და ინგლისურენოვანი ტექსტების შედარებითი ანალიზის გზით ორ ენაში არსებული მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა; (2) გენდერული მარკირებულობის ხარისხის მიმართების დადგენა ენის აგლუტინაციის ინდექსთან; (3) სამეტყველო აქტების თეორიის გენდერული გააზრება ილოკუციის, პერლოკუციისა და ლოკუციის შესწავლით განსხვავებული სქესის პერსონაჟთა მეტყველებაში; (4) ემოციური ექსპრესიის თარგმანის პროცესში არსებული გამოწვევების დაძლევა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: ქართული ენა, რომლის ისტორიის, სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხებს მრავალი ნაშრომი ეძღვნება, თითქმის შეუსწავლელია ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. ამავდროულად, არ მოგვეპოვება ლიტერატურული ნაწარმოებების საფუძველზე პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ურთიერთმიმართებების მეცნიერული ანალიზი. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზს ნაწილობრივ შეავსებს გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, ვერბალურ და არავერბალურ საშუალებათა თარგმანში, რითაც ჩვენი შრომა მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკისა და თეორიის განვითარებაში, ასევე, ლინგვოკულტუროლოგიისა და გენდერული ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს საანალიზო მასალის შესწავლა დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდისა და სპეციალური საანალიზო პროგრამის TEXSTAT-ის გამოყენებით ლინგვისტური საშუალებების რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზის მიზნით. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ კვლევის შედარებით-შეპირისპირებითი, ტიპოლოგიური, თვისობრივი, აღწერითი და

რაოდენობრივი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შევუპირისპირეთ ზემოხსენებული პროგრამის დახმარებით გაერთიანებული ტექსტები და მათი თარგმანები, ასევე, მეტატექსტები და ტრანსკრიბირებული ჩანაწერები, რის საფუძველზეც დავადგინეთ პერსონაჟთა მეტყველების დამახასიათებელი ძირითადი გენდერული თავისებურებები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება იმით, რომ კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება ენათა ტიპოლოგიური ანალიზის მეთოდთა განვითარების თვალსაზრისით. შედეგად მიღებული კონტრასტული გამოკვლევა და მასში თავმოყრილი ენობრივი მასალა გარკვეულ წვლილს შეიტანს ტიპოლოგიური ლინგვისტიკისა და მისი მომიჯნავე დარგების (გენდერული ლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, თარგმანის თეორია და პრაქტიკა) შემდგომ განვითარებაში; კვლევის პროცესში გაკეთებული მიგნებები და მეცნიერული სიახლეები განვითარებას პოვენს მომავალ ძიებებში და საშუალებას მოგვცემს, განვაგრძოთ და გავაღრმავოთ კვლევები შესაბამისი მიმართულებებით.

ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება 205 გვერდისაგან. ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავსა და დასკვნით ნაწილს. მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა, საანალიზო წყაროები, ინტერნეტმასალის ელექტრონული ვებგვერდები, ცხრილები, დიაგრამები და დანართები, სადაც წარმოდგენილია საილუსტრაციო ემპირიული მასალა: (1) ფერთა გამის გამოყენება გენდერულ დისკურსში და (2) ქალისა და მამაკაცის აღმნიშვნელი ანთროპონიმები მხატვრულ ტექსტებში.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

გენდერი ანუ სოციალური სქესი განიხილება ფართო ფსიქოლოგიურ და კულტურულ კონტექსტში. გენდერი განსხვავებულია, როგორც გრამატიკული, ასევე, ბიოლოგიური სქესისაგან. იგი ასახავს პიროვნების ქცევების, თვისებებისა და დამოკიდებულებების ნაკრებს, მემკვიდრეობით მიღებული და სოციუმში ჩამოყალიბებული ლინგვისტური სისტემის შედეგს, რასაც გენდერული ლინგვისტიკა შეისწავლის. ამ უკანასკნელს საფუძვლად „ტრადიციულობა, ეროვნულობა ედება - ინდივიდის ცნობიერება

ემყარება მისივე მშობლიური ენის კონცეპტუალურ თავისებურებებს“ (გერსამია&სხვ. 2016:141).

გენდერი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანურ ურთიერთობებში დაბადების მომენტიდან, როცა ადამიანებს შთაუნერგავენ ქცევის მკაცრად განსხვავებულ კოდექსს ბიოლოგიური სქესიდან გამომდინარე, რაც პირდაპირ ასახვას პოვებს გენდერულ დისკურსში. “ეს როლები უმეტესწილად განიცდიან პატრიარქალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ როლთა გადანაწილების გავლენას, სადაც მამაკაცები ქალებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან” (Coats, 1986:33), რაც ხელოვნების დარგებს შორის ყველაზე მეტი სიცხადით აისახება ლიტერატურაში.

თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, ნამდვილად განსხვავდება თუ არა პერსონაჟთა მეტყველება სქესის მიხედვით, რაში მდგომარეობს ეს განსხვავება და რამდენად იცვლება იგი ენისა და საზოგადოების განვითარებასთან ერთად. გენდერული როლების განსხვავებულობის ნეიტრალიზაცია რთულია, თუმცა, ბევრმა მამაკაცმა ავტორმა სცადა აღეწერა სამყარო ქალების პერსპექტივიდან, გამოეყენებინა მათთვის დამახასიათებელი ლექსიკა და ენობრივი ტრუქტურა. ასევე, საინტერესოა ქალი ავტორების მიერ გადმოცემული ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებაზე დაკვირვება და მისი ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებების შესწავლა. ამ მოვლენის აღწერა, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების ანალიზით, ლიტერატურული ტექსტების ორიგინალებისა და მათი თარგმანების მიხედვით, წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს.

დავინტერესდით, ახდენს თუ არა ზეგავლენას ენის გენდერულ მარკირებულობაზე ენის სისტემა და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია? ლიტერატურული ტექსტების მაგალითზე შევისწავლეთ განსხვავებული სისტემის ენებში პერსონაჟების მიერ ენის ფონოსემანტიკური, ლექსიკური და გრამატიკული სისტემების გამოყენების გენდერული განსხვავებები, გავაანალიზეთ მათ შორის არსებული იზომორფიზმები და ალომორფიზმები; დავადგინეთ მიმართება გენდერული ლექსიკის თავისებურებებსა და ენის სინთეზურობას ასევე, ურთიერთდამოკიდებულება გენდერლექტსა და ენის აგლუტინაციის ინდექსს შორის. „აგლუტინაციას ადგილი

აქვს როგორც სინთეტიკურ, ასევე ანალიტიკურ ენებში, უბრალოდ, მათი ხარისხებია განსხვავებული“ (გამყრელიძე, & სხვები 2003). ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენობრივ საშუალებათა მორფოლოგიურ ანალიზს და საანალიზო ენათა სისტემიდან გამომდინარე, იმის დადგენას, თუ რამდენად ახდენს გავლენას აგლუტინაციის ხარისხი პერსონაჟთა მეტყველების გენდერულ მარკირებაზე, მის ექსპრესიულ და ემოციურ თავისებურებებზე.


კვლევამ და ემპირიულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მამაკაცი პერსონაჟები მეტყველების დროს ორიენტირებული არიან გადმოსცენ: მოქმედება, იდეები, დაკავებული არიან ანალიზით და შეფასებით, რის გამოც მათ მეტყველებაში ხშირად ვხვდებით მტკიცებით წინადადებებს და ფორმებს: “I say” „მჯერა“, “I promise” „გპირდები“, “I Believe” „მე ვფიქრობ“, “I am sure” „დარწმუნებული ვარ“, “I assure you” „გარწმუნებ“; ხოლო, ქალი პერსონაჟები საუბარში კონცენტრირდებიან პროცესზე, ვარაუდებზე, წინასწარგანწყობებზე, მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებებზე და იმპლიკაციებზე, რის გამოც მათ მეტყველებაში ხშირია ისეთი ლინგვისტური ხერხების გამოყენება, რომლებიც ახდენენ ჰეჯირებას (მტკიებულების შერბილებას და კონფლიქტის მოდერაციას): “I would like to” „ვისურვებდი“, “I would say” „მე ასე ვიტყვოდი“, “I think” „მგონი“, “I assume” „დიდი ალბათობით“, “would you” „ხომ არ ...“, “could you” „იქნებ“, ასევე მომეტებული გამოყენება წინდებულების, შორისდებულების და დამაზუსტებელი შეკითხვების ე.წ. „კუდიანი კითხვები“ “Tag Questions”, მიუხედავად იმისა, რომ შეძლება 100%-ით დარწმუნებული იყოს საკუთარი წინადადების ჭეშმარიტებაში “She has two kids, hasn’t she?” – „მას ორი შვილი ჰყავს, არა?“.

თავი I

წერის სტილის გენდერული იდენტიფიცირება ორიგინალ ტექსტებსა და მათ თარგმანებში

პირველი თავი მოიცავს ორ ქვეთავს: 1.1. ქალ და მამაკაც ავტორთა წერის სტილის გენდერული მახასიათებლები და 1.2. ქალ და მამაკაც პერსონაჟთა აღწერისა და გენდერული მეტყველების თავისებურებანი განსხვავებული სქესის ავტორთა ნაწარმოებებში. მე-20 საუკუნის დასაწყისში უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია ჩამოყალიბდა ქალური და მამაკაცური მეტყველების სტილის შესახებ

და მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე. ენათმეცნიერებმა და სოციოლინგვისტებმა ლაკოფმა (Lakoff, 1975), დეილსპენდერმა (Spender, 1975), ტანენმა (Tannen, 1989) და სუზან ჰერინგმა (Hering,1996:29) მთელი რიგი სისტემები შექმნეს გენდერული განსხვავებულობების შესახებ (განსხვავებულობის თეორია, ენის ანდროცენტრულობის თეორია, თეორია ენის ფემინიზაციის შესახებ). ყველა მათგანმა კოგნიტური ლინგვისტიკის პრინციპებზე დაყრდნობით ხმამაღლა დაიწყო საუბარი სექსიზმის გამოვლინებებზე მამაკაცის მეტყველებასა და კომუნიკაციის სტილში. გენდერული მეტყველების შესახებ დისკუსიაში აქტიურად განიხილებოდა ფიშერმანის მოსაზრება, რომ „თანამედროვე გენდერული ლინგვისტიკა სქესს არ განიხილავს, როგორც მხოლოდ ორპოლუსიან სიდიდეს და იგი მრავალ სახესხვაობებს მოიცავს“ (Fisherman, 1978), თუმცა, ჩვენი კვლევა მხოლოდ ქალი-კაცი დიქტომიის ირგვლივ განვავითარეთ.



მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული თეორიების თანახმად, მამაკაცებს ახასიათებთ დომინირება საუბარში, ნიშანდობლივი ტენდენციაა თანამოსაუბრის შეჩერება აზრის დასრულებამდე ანუ ინტერაფცია, უარყოფა და საწინააღმდეგო აზრის გატარება, ხოლო „ქალები დუმან“ ამბობს ტანენი.(Tannen, 1989)და ამ მოვლენას მთლიანობაში მამაკაცების მიერ შექმნილ ენას უწოდებს. განსაკუთრებით კარგად „ქალების დუმილი“ სწორედ ლიტერატურული და კლასიკური ტექსტების მაგალითზე ვლინდება.

ქართული და ინგლისური ლიტერატურის ანთოლოგიებსა და ლინგვისტური კორპუსის კატალოგებში მე-20 საუკუნის დასაწყისამდე სულ ორიოდ ათეული ქალი მწერლის სახელი შეიძლება ამოვიკითხოთ. ხოლო ქალი პერსონაჟების რაოდენობა ლიტერატურულ კორპუსში, როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურენოვან მხატვრულ ტექსტებში გაცილებით მცირეა. თანდართულ დიაგრამაში ასახულია პერსონაჟთა რაოდენობები გენდერულ ჭრილში ქალ და მამაკაც ავტორებთან.

ტანენის განსხვავებულობის თეორიის მიხედვით გამოკვეთილი გენდერული სამეტყველო პრიორიტეტები თითქმის სრულყოფილად დადასტურდა (ვერიფიცირდა) ლიტერატურულ კორპუსზე ემპირიული დაკვირვების შედეგად. ამ პრიორიტეტების წარმოდგენა ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველების მახასიათებელთა შესწავლის შემდეგი ცხრილის სახით გახდა შესაძლებელი

ქალი პერსონაჟისათვის მნიშვნელოვანია	კაცი პერსონაჟისთვის მნიშვნელოვანია
მხარდაჭერა	სტატუსი
თანაგრძნობა	რჩევა
გრძნობები	ინფორმაცია
შეთავაზება	ბრძანება
კომპრომისი	კონფლიქტი
ინტიმურობა	დამოუკიდებლობა

ემპირიულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ყველა ზემოხსენებული მოლოდინი პერსონაჟთა მხატვრულ დისკურსში წარმოდგენილია შესაბამისი ენობრივი ლექსიკურ-სემანტიკური და სტრუქტურული საშუალებებით და ისინი თითქმის სრულყოფილად ითარგმნება ქართულიდან ინგლისურად და პირიქით. კვლევამ ცხადყო, რომ მამაკაცი ავტორებისთვის და პერსონაჟებისთვის უფრო მეტად დამახასიათებელი არის ე.წ. „მოხსენებითი“ მეტყველება -

Report Talk. ხოლო ქალებისთვის - ე.წ. “ჰარმონიული” მეტყველება ურთიერთობის დამყარების მიზნით ანუ Rapport Talk. მამაკაცი პერსონაჟები უფრო მეტად დგანან გავლენის მოხდენის მხარეს და იყენებენ სამეტყველო ტექნიკას, რომელსაც PowerfullSpeech Technique-ს ვუწოდებთ, ხოლო ქალები ნაკლებად გავლენიან ტექნიკას ე.წ. PowerlessSpeech Tehnique. მხატვრული ტექსტების იმ ნაწილში, სადაც ავტორი საუბრობს, თითქმის ორივე სქესის შემთხვევაში, გვაქვს გავლენის მოხდენის სურვილით მოტივირებული მეტყველება.

კვლევის ყველა ეტაპზე ნებისმიერ საანალიზო წყაროზე დაკვირვებისას რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები მოწმობდა, რომ პერსონაჟთა მეტყველების სტრუქტურაზე გავლენას ახდენს კონტექსტი, ქვეტექსტი, პრესუპოზიცია, პერსონაჟის ადგილი ნაწარმოებში, მისი სოციალური კუთვნილება და განათლების დონე. თუ ნეიტრალურ მდგომარეობაში მამაკაცი მოსაუბრე გამოირჩევა საუბარში დომინირებით და ინტერაფციებით, თავისზე მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ქალთან დიალოგში მისი საკომუნიკაციო სტრატეგიები მოდერირებულია, ეს თანაბრად ახასიათებს, ქართულ და ინგლისურ ლიტერატურულ ტექსტებს, იმ განსხვავებით, რომ ქართულში არ იკვეთება სოციალური კლასისთვის ან კონკრეტული სამეტყველო ჯგუფისთვის (speech communities) უნიკალური და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სემანტიკური ლექსიკა, განსხვავებით ინგლისურისაგან, სადაც ვხვდებით მსგავს ლინგვისტურ რეალიებს.

ძირითადი ლინგვისტური განმასხვავებელი გენდერულ ჭრილში ეს არის ქალი ავტორების მიერ მხარდაჭერის, თანაგრძნობის, კომპრომისის, შეთავაზების გამომხატველი ლექსიკის გამოყენება, ჰეჯირების (კონფლიქტის შერბილების) ტაქტიკით, რისთვისაც შესაბამის ენობრივ საშუალებებს იყენებს და თავაზიანობის ელემენტებთან ერთად, გამოხატულს ისეთი ლექსიკური ერთეულებით, როგორცაა: “Please”, “may I kindly ask you?” “Would you do me a favour?”, ხოლო მამაკაცი პერსონაჟი აქტიურად იყენებს ვულგარულ სიტყვებს, სლენგს, კოლოკვიალურ ლექსიკას და ტაბუირებულ სიტყვებს და გავლენიანი საუბრის მანერას ე.წ. „Powerful Speech“-ის ენობრივ ელემენტებს: კითხვა-მახილის, ბრძანების, მოწოდების წინადადებებს; თავდაჯერებულობის გამომხატველ ლინგვისტურ ერთეულებს: „არა“ “No”, „კი“ “Yes”, „არ მსურს“ “I do not

want”, „მსურს“ “I wish”, „ვბრძანებ“ “I order”; ექსტრალინგვისტურ საშუალებებს: კორპორალური ლექსიკა და საუბრის მანერა. მაგ: “men’s eyes in the room were fastened on her”; - „ოთახში მყოფი მამაკაცები თვალებით ჭამდნენ მას“; “her gloved hands were crossed” – „ხელთათმანიანი ხელები ერთმანეთზე გადაეჭდო“; “handshaking” „ხელის ჩამორთმევა“, “clasping hands” – „ტაშის ცემა“; “wash hands off smth” – „ხელის დაბანა რაიმესგან“, „პასუხისმგებლობის მოხსნა“ და სხვა.

მიუხედავად ქალ და მამაკაც ავტორთა წერის სტილის განსხვავებულობისა, მაინც არსებობს ალბათობა იმისა, რომ ნიჭიერმა ავტორმა წეროს მეორე სქესის პერსპექტივიდან და დაიცვას საპირისპირო სქესის მეტყველების მანერა. ამ მოვლენას მოიხსენიებენ ტერმინით: "Genderfic" (Gender + Terrific - სიტყვასიტყვით: „გენდერულად დიდებული“.

ჩვენ მიერ წარმოებული გენდერული დისკურსის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, პასუხი გაგვეცა შეკითხვაზე, შეუძლია თუ არა ავტორს წეროს განსხვავებული სქესის პერსპექტივიდან. დადგინდა, რომ არსებობს ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია ავტორის სქესისაგან განსხვავებული სქესის გამოცდილებაზე დაყრდნობით და ამ ტექნიკას ყველა მწერალი ერთხელ მაინც მიმართავს თავის შემოქმედებაში, რასაც თან სდევს ორი უმთავრესი გამოწვევა: ის მოითხოვს, რომ ავტორმა წეროს საკუთარი გამოცდილების მიღმა, საპირისპირო სქესის გადმოსახედიდან და ძალიან იოლია, დაუშვას სტილისტური შეცდომა, გადაჭარბებულ მცდელობაში მიამსგავსოს მეტყველების მანერა და სტილი გმირის ან მთქმელის სქესს. მაგალითად, მამაკაცმა ავტორმა გამოიყენოს ქალური წინადადების სტრუქტურა, სიტყვათა წყობა და ლექსიკური ერთეულები: წინდებულები, შორისდებულები, დამაზუსტებელი შეკითხვები ე.წ. „კუდიანი შეკითხვა“ და პირიქით, ქალმა, მსგავსად მამაკაცისა მიმართოს ნომინირებას (სახელდებას) ნაცვალსახელების, სახელების ხშირ გამოყენებას, უარყოფას, ინტერაფციებს და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურში შედარებით უფრო მკვეთრად მარკირებულია სქესი, ვიდრე ქართულში, მარლის ჰელინგერის „გენდერის ხვადასხვა ენაში“ მიხედვით (Helinger, 2014), იგი ე.წ. „უსქესო ენათა“ ჯგუფს განეკუთვნება და მაინც ორივე ენაში

შეიმჩნევა ზოგადი ტენდენცია, რომ ძირეულ ცნებათა კონცეფციაში, მაგალითად, პრესტიჟული პროფესიების სქესი, უმეტესწილად მამრობითია მაგ. ინგლისური „Businessmen Businesswoman“ დიქციონარის ქართულში შეესაბამება „ბიზნესმენი და ქალი ბიზნესმენი“ წყვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად გენდერი სწავლობს ქალურ და მამაკაცურ სამეტყველო სტერეოტიპებს. როგორც აღვნიშნეთ, ქართველურ ენებში გრამატიკული სქესი არ გვაქვს, ბიოლოგიური სქესი კი რეალიზებულია ლექსიკის/სემანტიკის დონეზე: მამაკაცი - დედაკაცი (ქართ.); კოჩი - ოსური (მეგრ.); კოჩი - ოხორჯა (ლაზ.); მარე/ღაჟამარე - ზურალ (სვან.); ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზევეა რეალიზებული გენდერიც (ქართული ენის კორპუსი GNC).

თავი II

გენდერული მეტყველების ლინგვისტური მახასიათებლები და მათი განმაპირობებელი ზოგადი ფაქტორები

მეორე თავი შედგება სამი ქვეთავისაგან, რომელთაგან პირველი 2.1. გენდერული მეტყველების ლინგვისტური მახასიათებლები მოიცავს 4 ქვე-საკითხს: 2.1.1 ენის ფუნქციათა გენდერული ვარიაციები საკომუნიკაციო აქტებში, 2.1.2 გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგია ქართულ და ინგლისურ ნაწარმოებთა სათაურებში და მათ თარგმანებში; 2.1.3 გენდერული მეტყველების ფონოლოგიური და მორფო-სინტაქსური თავისებურებანი (აგლუტინაციური ინდექსის გავლენა სინთეზურ და ანალიზურ ენებში პერსონაჟთა მეტყველებაზე) და 2.1.4 წინადადების სტრუქტურისა და პუნქტუაციის ზოგიერთი საკითხისათვის. მეორე ქვეთავი 2.2 დეტალურად განიხილავს გენდერული მეტყველების განმაპირობებელ ზოგად ფაქტორებს: ეპოქას, პერსონაჟის ადგილს ნაწარმოებში, სოციალურ-კლასობრივ მდგომარეობას, ხოლო ქვეთავი 2.3 აღწერს კოლოკვიალური ლექსიკის გამოყენების ტენდენციებს გენდერულ ჭრილში. პერსონაჟთა მეტყველების გენდერული მარკერები სათანადო სისრულით რომ დაგვეხასიათებინა, სიტყვის წმინდა სემანტიკური ასპექტის გარდა მისი პრაგმატული ასპექტიც გავიაზრეთ და ეს ასპექტები ორი სრულიად განსხვავებული სისტემის ენებზე მოსაუბრე ადამიანთა (პერსონაჟების სახით) ჯგუფის წარმომადგენლების სამეტყველო ქცევის ფსიქოლოგიურ ასპექტებთან

დავაკავშირეთ. სხვადასხვა სქესის პერსონაჟთა მეტყველების შესწავლის პროცესში ამ ასპექტებმა, ეთნოგრაფიულ და სოციალურ ფაქტორებთან ერთად, საინტერესო რეალიები შექმნეს. როგორც გერმანელი ფილოსოფოსი კლაუსი წერდა: „ენობრივ ნიშნებს ადამიანი იყენებს იმისათვის, რომ თავისი აზრები სხვას შეატყობინოს. ამრიგად, ეს ნიშნები ქმნიან კომუნიკაციის საშუალებებს და ცდილობენ დააინტერესონ თანამოსაუბრე ისე, რომ პარალელურად გამოიწვიონ მისი მხრიდან გარკვეული რეაქცია“ (Klaus, 1988: 98). იმისათვის, რომ ეს რეაქცია ადეკვატური იყოს, მნიშვნელოვანია პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ასპექტების შესწავლა, მათი თარგმანის წესებზე შეთანხმება, განსაკუთრებით იმ მოცემულობაში, როცა არაერთი ენათმეცნიერისა და სოციოლინგვისტის მოსაზრებით სქესთა შორის კომუნიკაცია, მათი მოტივაციისა და განსხვავებული სტილის გამო, ისედაც ჰგავს ორ განსხვავებულ კულტურას შორის კომუნიკაციას. გენდერული განსხვავებულობის გარდა, პერსონაჟთა მეტყველებაზე გავლენას ახდენს ისტორიული ფაქტორი და ენის განვითარების კანონზომიერი პროცესი სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებთან ხმაშეწყობილად, ასევე, ნაწარმოების შექმნისა და მისი თარგმნის ეპოქა. მაგალითად, მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე, სანამ გაძლიერდებოდა გენდერული ფემინისტური სწავლება და კვლევები, ენაში ჭარბობდა ანდროცენტრული წესები (ეს განსაკუთრებით ეხება ინგლისურს, რამდენადაც სქესი სუსტად (რუსულთან და გერმანულთან შედარებით), მაგრამ მაინც გრამატიკული კატეგორიითაა გამოხატული, განსხვავებით ქართულისგან, სადაც მხოლოდ სემანტიკის დონეზე გვაქვს გენდერული მარკირება) მაგ. He-ს გამოყენება ნეიტრალური მნიშვნელობით, Male Firstness Rule ანუ კაცის სახელი პირველ ადგილზე ანთროპონიმურ წყვილებში, ასევე სახელთა წყვილის შემცველ სათაურებში - “Romeo and Juliet”; “Antonio and Cleopatra” etc, ქალისა და მამაკაცის აღმნიშვნელი ტიტულატურა: “Mr”, “Mrs”, “Miss”, “Mrs. David Copperfield”. ეს ტენდენცია მკვეთრად შეიცვალა და ზოგიერთი გამოყენება საერთოდ გაქრა ენიდან მე-20 საუკუნის ბოლოს: ნეიტრალური “He” შეიცვალა “He/She” ფორმით, ტიტულატურის აღმნიშვნელი ნაწილაკი გახდა ნეიტრალური და აღარ ხდება სეპარაცია გათხოვილი და გაუთხოვარი ქალის აღმნიშვნელი ფორმებით: “Mrs” vs “Miss”, რომელიც ჩაანაცვლა ნეიტრალურმა “Ms”. ხოლო ქმრის სახელის აღმნიშვნელი ანთროპონიმი ცოლის გვარის

აღსანიშნად სრულად ამოვარდა. აღნიშნულ ენობრივ სტერეოტიპთაგან, ქართულისთვის არც ერთი მათგანი ან მსგავსი მოვლენა არ ყოფილა დამახასიათებელი ისტორიულად და არც თანამედროვე ქართულს ახასიათებს.

რაც შეეხება ენის სხვადასხვა ფუნქციას, ისინი ერთგვარად რეალიზდება ქართულ და ინგლისურ ტექსტებში, გენდერული ასპექტიც პირდაპირ პროპორციულად აისახება თარგმანში, განსხვავებებს ვხვდებით მხოლოდ ფონო-სემანტიკურ და ზოგჯერ ლექსიკურ დონეზე, სტრუქტურული განსხვავებულობის გამო. ქალი და მამაკაცი პერსონაჟები ენის სხვადასხვა ფუნქციას განსხვავებული ინტენციით იყენებენ, რაც გამოიხატება მათ მიერ ისეთი ენობრივი ერთეულების განსხვავებულ გამოყენებაში, როგორცაა ლოკუციის, ილოკუციისა და პერლოკუციის გამომხატველი საშუალებები. მაგალითად, ქალი პერსონაჟები უფრო აქტიურად იყენებენ შორისდებულებს და ილოკუციის აქტიურ მომხმარებლებად გვევლინებიან დიალოგში, ხოლო, მამაკაცი მოსაუბრეები მეტწილად მიმართავენ პერლოკუციის სხვადასხვა ფორმას: **განკარგულებით, ექსპრესიულ დეკლარაციულ პერლოკუციას** თანამოსაუბრის დარწმუნების მიზნით, თუმცა, კომუნიკაციური აქტის ეფექტურობას განაპირობებს, არა იმდენად ძლიერი ექსპრესიული საშუალებები, რამდენადაც მათი სწორად გამოყენება სამიზნე ჯგუფთან. მაგალითად, ფრაზა „I divorce you, I divorce you, I divorce you“ მხოლოდ კონკრეტულ მოცემულ სოციუმში და შესაბამისი თანმხვედრი ცოდნის პირობებში (ანუ მოსაუბრეც და მსმენელიც უნდა იყვნენ მუსლიმები, იყვნენ ცოლ-ქმარი და კომუნიკაციის მონაწილეთა პერცეფცია აღნიშნული ფრაზის მიმართ უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს) შეიძლება დასრულდეს ნათქვამი შესაბამისი ქმედებით ანუ განქორწინებით.

მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებას ანუ ლინგვისტურ ქცევას, ახასიათებს ტენდენცია, რომ იგი ავტორის მიერ მართებულად იქნეს მიჩნეული და თანხვდებოდეს „სასურველის“ ან „აღმაფრთოვანებელის“ განმარტებას, ხოლო, ქალი პერსონაჟის მეტყველება იმავე წარმატებით შეიძლება წარმოჩენილ იყოს, როგორც ნეგატიური, გახდეს კრიტიკის საგანი და სრულიად უფერული იყოს ლინგვისტურად. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ მხატვრული ტექსტების ჩვენ მიერ შესწავლილ კორპუსში ქალების მეტყველებაში

ჭარბობს უარყოფითი ემოციის გამომხატველი ენობრივი საშუალებების გამოყენება მამაკაცებთან შედარებით, მაგალითად: **მწუხარების, სინანულის, ტრაგიკულობის გამომხატველ** ლექსიკას ისინი უფრო ხშირად იყენებენ საუბარში, ვიდრე მამაკაცი პერსონაჟები ერთსა და იმავე სიტუაციაშიც კი. ამ დროს, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ტექსტებში გვხვდება სიტყვათა ფონოსემანტიკური სახეცვლილებები უარყოფითი ემოციების გამოხატვის მიზნით ქალ და მამაკაც პერსონაჟთა საკომუნიკაციო აქტებში.

ქალი იყენებს ისეთ სიტყვებსა და გამონათქვამებს, როგორცაა: „**მე ხომ ბედი არა მქონია**“, „**უბედურ ვარკვლავზეა გაჩენილი**“, „**ვაი, შე უღლეურო**“, „**ვაი შენს დედას უბედურს**“, „**ბეჩავო, მოგიკვდეს ჩემი თავი**“. ეს და მსგავსი ფრაზები, უფრო მეტად ქართული ტექსტებისთვისაა მახასიათებელი, ისინი შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ქართული ორიგინალი ტექსტებიდან ამოვკრიბეთ. შემთხვევათა 90 %-ში მათ ქალი პერსონაჟი წარმოთქვამს.

მამაკაცი იყენებს: „**ვერ გადამირჩება**“, „**სიცოცხლეს გავუმწარებ**“, „**თავბედს აწყევლინებს**“, „**ამისთვის პასუხს აგებს**.“

შევისწავლეთ ნეიტრალურ კონტექსტში ქალი პერსონაჟის მიერ გამოყენებული ენობრივი ერთეულები და აღმოჩნდა, რომ მათი ლექსიკა უფრო მრავალფეროვანი, კრეატიული და მოქნილია, ქმნიან საკუთარ, უნიკალურ ფრაზებსა და გამონათქვამებს, რა მოგვიანებით ხდება ნორმა: „**ჩემო თვალის ჩინო**“ (apple of my eyes), „**ჩემო ბალის კუნწულავ**“ (my cherry blossom), „**სიყვარულის ნატეხო**“ (piece of love), „**ჩემო გულის ვარდო**“ და სხვა. მსგავსი ფრაზეოლოგიით მდიდარია, როგორც ინგლისურენოვანი, ისე ქართული ორიგინალი ტექსტები. სამწუხაროდ, თარგმანში ვხვდებით გარკვეულ შეუსაბამობებს, რადგან მსგავსი ფრაზების უმრავლესობა ენის კონტექსტისთვის მისაღები წესებით ითარგმნება და ერის მსოფლმხედველობაში ჩადებულ ცნებებს იყენებს, თუმცა, რაოდენობრივად პოზიტიური ემოციების გამომხატველი ლექსიკა ქალ პერსონაჟთა მიმართვის ფორმებში უფრო მეტად გავრცელებულია, ვიდრე მამაკაცთა მიმართვებში სხვა პერსონაჟის მიმართ. ეს თითქმის თანაბრადაა განაწილებული ქართულ და ინგლისურენოვან ორიგინალ ტექსტებში. თარგმანში ისინი შემთხვევათა 95%-ში გადადის განსხვავებული ემოციურობით.

თავი III

გენდერული მეტყველების სემანტიკური ასპექტები ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურულ ტექსტებსა და თარგმანებში


ნაშრომის მესამე თავი შედგება ოთხი ქვეთავისაგან: 3.1 გენდერული ექსპრესიის ზოგადი მახასიათებლები; 3.2 ქალ პერსონაჟთა მეტყველების ექსპრესიის ასპექტები ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურულ ტექსტებსა და თარგმანებში; 3.3 მამაკაც პერსონაჟთა მეტყველების ექსპრესიის ასპექტები ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურულ ტექსტებსა და თარგმანებში და 3.4 გენდერული მეტყველების თარგმანის სემანტიკური ასპექტები. 3.2 და 3.3 ქვეთავებში ცალკე არის განხილული ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მიერ უარყოფითი და დადებითი ემოციის ექსპრესიულობა, კორპორალური სიტყვებისა და არავერბალური საშუალებების გამოყენება. მათ შორის გამოვყავით სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგია. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ქალი პერსონაჟების მეტყველებაში ჭარბობს თვალთან და ხელთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და არავერბალური საშუალებები: ხმის ტემბრი, სიტყვათა წყობა, ჰიპერკორექტული გრამატიკა, უხვსიტყვაობა და ზედსართავი სახელების გადაჭარბებული გამოყენება, ხოლო მამაკაცებთან უმეტესად ვხვდებით ქალის სხეულის აღმნიშვნელ ფრაზეოლოგიას, ელიპტიკურ წინადადებებს - დაუსრულებელ აზრს, ინტერაფციებს და სკაბრეზის, მუქარის, ზეგავლენის მოხდენის ან უარყოფის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებს, მამაკაცებთან ასევე სჭარბობს ნომინირება/სახელების შერქმევა, ნაცვალსახელების გამოყენება, “The” განსაზღვრული არტიკლის და მითითებითი ნაცვალსახელების “This”/“That” გამოყენება ინგლისურ ენაში, რაც ქართულ თარგმანში შედარებით სუსტად აისახება.

მამაკაცი პერსონაჟის მეტყველების სტრუქტურა	ქალი პერსონაჟების მეტყველების სტრუქტურა
ქალთან შედარებით მეტი ვერბალური და არავერბალური ინტერაქციის ინიცირება	კომუნიკაციის ინიცირების ნაცვლად დიალოგის მხარდაჭერა და მისი შენარჩუნება კითხვების გზით

მხარეებთან საუბარში ახალი თემების/საკითხების შემოტანა	თანამოსაუბრის წახალისება და შეკითხვებზე პასუხების გაცემა
საუბარში ჩარევა უფრო ხშირად, დამახასიათებელია ერთმარცვლიანი პასუხების გაცემა	მამაკაც მოსაუბრესთან შედარებით პოზიტიური მიმართულების მიცემა დიალოგისთვის და უხვსიტყვაობა
სხვისი აზრის იგნორირება და საკუთარი აზრის პირდაპირ, მკვეთრად და რაციონალურად ჩამოყალიბების ტენდენცია	უფრო ემოციური დატვირვა ვიდრე ობიექტური რეალობის აღწერა
მეტი დოგმატურობა და ჩაკეტილობა	ნაკლები დოგმატურობა და გახსნილობა
გადაჭარბებული სკაბრეულობა/ბილწსიტყვაობა, სლენგი	კოლოკვიალიზმების დაბალანსებული გამოყენება: მეტი პროფესიონალიზმები, ნაკლები სლენგი და სკაბრეუბი
წინადადების პარატაქსული წყობა (მეტად თანამედროვე ინგლისურში	წინადადების ჰიპოტაქსური წყობა ქართულში, ხოლო პარატაქსული ინგლისურში

გენდერული მეტყველების მსგავსი კლასიფიკაცია და დეტალური ანალიზი საფუძვლად დაედო თანამედროვე ელექტრონული ლინგვისტიკის განვითარებას, რომელმაც შესაძლებელი გახადა, ავტორის სქესის ამომცნობი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა ინგლისურენოვანი ტექსტებისთვის. საინტერესო იქნება მომავალში, გენდერული მეტყველების სტრუქტურის ისეთი სიღრმისეული შესწავლა ქართული ტექსტების საფუძველზე, რაც თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში მსგავსი პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების საფუძველს შექმნიდა. ჩვენი კვლევის ფარგლებში კონცენტრირებული ვიყავით იმ ძირითად მიგნებებზე, რომლებიც დაგვეხმარა განვესაზღვრა, თუ როგორ იცვლება პერსონაჟთა მეტყველების სტრუქტურა თარგმანში პერიოდულად, რამდენად უახლოვდება ლიტერატურული ენა ყოველდღიურს და რა ფორმით შემოდის კოლოკვიალიზმები

წერილობით ტექსტებში პერსონაჟთა მეტყველების გზით, რამდენად განსხვავდება ისინი ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში და რამდენად ჰგავს ეს ტენდენციები ერთმანეთს თანამედროვე ქართული და ინგლისურენოვანი ტექსტების მიხედვით. ასევე, ვაკვირდებოდით, თუ როგორ აისახება ამ ენობრივ მოვლეთანა ექსპრესია თარგმანებში. ამისათვის, საანალიზო პროგრამაში გადავიტანეთ თანამედროვე ქართველი ავტორების დათო ტურაშვილის, რეზო ჭეიშვილის, ანიტა შრივისა და ჯეიმს ფრეის ნაწარმოებთა კორპუსი, გავაანალიზეთ მათში გენდერული დისკურსი და შევაპირისპირეთ მათი თარგმანები, სადაც დავაჯგუფეთ ენობრივ საშუალებათა (სემანტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური) გენდერულად განსხვავებული გამოყენება და წარმოვადგინეთ შესაბამისი დიაგრამებით. ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც ნიშანდობლივია, როგორც ქართული ასევე ინგლისურენოვანი თანამედროვე ტექსტებისთვის, არის კოლოკვიალიზმების, უმეტესად სლენგისა და სკაბრეზის, ინტენსიური გამოყენება და მათი ზუსტი ასახვა თარგმანებში ადრეული ეპოქის ნაწარმოებებისაგან განსხვავებით. **იხ. დიაგრამები. კოლოკვიალიზმები ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში.**



დასკვნა

პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ურთიერთმიმართებების კვლევამ კონტრასტულ ჭრილში (ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურული კორპუსის მიხედვით) და მათ შორის არსებული ტიპოლოგიური ურთიერთმიმართებების ანალიზმა, შემდეგი დასკვნების ჩამოყალიბების საშუალება მოგვცა:

❖ ლიტერატურულ კორპუსში ქალი პერსონაჟები უფრო ნაკლებად არიან წარმოდგენილი, ვიდრე კაცები. ქალი პერსონაჟი საკუთარი სახელით თითქმის ორჯერ ნაკლებადაა მოხსენიებული, ვიდრე მამაკაცი პერსონაჟი და ეს ციფრები განსხვავებულია სხვადასხვა სქესის ავტორთა ნაწარმოებების მიხედვით. ზოგადი ტენდენციით ქალ ავტორებთან მეტი ქალი პერსონაჟი გვხვდება, ვიდრე მამაკაცებთან.

❖ პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებებს, სქესის გარდა, ბევრი სხვა ფაქტორი განაპირობებს, მაგალითად: ეპოქა, ავტორის გემოვნება, ლიტერატურული ჟანრის მოთხოვნები, ენის სტრუქტურა (სინთეზურობა, ანალიზურობა, აგლუტინაცია), თარჯიმნის სტილი და თარგმანის ეპოქა. ტექსტის პრაგმატული ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როცა გენდერულ დისკურსში კონტექსტი გავლენას ახდენდა სიტყვის მნიშვნელობაზე.

❖ ექსპრესიის სემანტიკური გამოხატვის თვალსაზრისით, გამოიკვეთა ქალებში წინდებულების, შორისდებულებისა და ნაცვალსახელების უფრო ხშირი გამოყენება, ვიდრე მამაკაც პერსონაჟებში, ხოლო მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში - სკაბრეზული გამონათქვამების, სლენგისა და უარყოფითი ემოციების გამომხატველ ენობრივ საშუალებათა სიხშირე.

❖ გამოვლინდა დადებითი და უარყოფითი ემოციების ექსპრესიული განსხვავებანი ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში. კერძოდ, ქალები უფრო ხშირად იყენებენ მწუხარების, გლოვისა და ტრაგიზმის გამომხატველ ლექსიკას, ვიდრე მამაკაცები, ხოლო მამაკაცები უფრო ხშირად მიმართავენ კორპორალურ ლექსიკას, განსაკუთრებით ქალის შესახებ ჰომოგენურ (კაცსა და კაცს შორის) კომუნიკაციაში.

❖ მორფო-სინტაქსური თვალსაზრისით გამოვლინდა იზომორფიზმებსა და ალომორფიზმებს შორის ყველაზე

მნიშვნელოვანია ჰიპერკორექტული გრამატიკა და გრამატიკული წესების შესაბამისი სიტყვათაწყობის გამოყენება ქალ პერსონაჟებში უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცებთან ინგლისურენოვან ტექსტებში. ქართული ტექსტებისთვის სინტაქსის მსგავსი გენდერული მარკირება არ არის დამახასიათებელი, რადგან ქართული ზმნა-შემასმენელი და, შესაბამისად, წინადადების სტრუქტურაც, ინგლისურთან შედარებით მყარად განსაზღვრულია და მისმა ცვლილებამ, შესაძლებელია, შინაარსობრივი ცვლილებაც გამოიწვიოს.

❖ ქართულენოვან ტექსტებში ქალი პერსონაჟები უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცი პერსონაჟები, მიმართავენ ჰიპოტაქსს, ხოლო ინგლისურში პირიქით: ქალები შედარებით გამარტივებულად საუბრობენ, ვიდრე მამაკაცები. თანამედროვე ინგლისურში იკვეთება წინადადებების გამარტივებისა და პარატაქსული კონსტრუქციების დამკვიდრების ტენდენცია, რაც საქმიანი ენის განვითარებით აიხსნება. ქართულ გენდერულ დისკურსში და, ზოგადად, ენაში მსგავსი ცვლილებების განხორციელება უნივერსალიების დონეზე ენის სამომავლო განვითარების საკითხია.

❖ ქართული ენის კორპუსში შემავალი მონათესავე ენების: მეგრულისადა სვანურის ანალიზზე დაკვირვების პროცესში დაინგლისურთან შედარებისას გამოიკვეთა, რომ აგლუტინაციის ინდექსი გავლენას ახდენს პერსონაჟთა მეტყველების გენდერულ მარკირებაზე, რაც დასტურდება მათში გენდერულად განსხვავებული ლექსიკური ერთეულების არსებობით: გენდერულად მარკირებული ზმნები და მასდარი. ინგლისურში, როგორც ანალიზურ ენაში, რომლის აგლუტინაციის ინდექსი ქართულთან შედარებით დაბალია, ისეთი ენობრივ-ექსპრესიული საშუალებები (მაგალითად, მოქმედების აღმნიშვნელი), რომლებიც მხოლოდ ერთ ან მეორე სქესს შეიძლება ახასიათებდეს, არ მოიძებნება.

❖ ტიპოლოგიური შეპირისპირებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალი და მამაკაცი პერსონაჟები ენის სხვადასხვა ფუნქციას განსხვავებული მიზნით იყენებენ, რაც გამოიხატება მათ მიერ ისეთი ენობრივი ერთეულების განსხვავებულ გამოყენებაში, როგორცაა: ლოკუციის, ილოკუციისა და პერლოკუციის გამომხატველი საშუალებები. მაგალითად, ქალი პერსონაჟები უფრო აქტიურად იყენებენ ილოკუციას დიალოგში, ხოლო - მამაკაცი მოსაუბრეები მეტწილად მიმართავენ თანამოსაუბრის დარწმუნების სხვადასხვა

ხერხს: განკარგულებით, ექსპრესიულ დეკლარაციულ პერლოკუციას, თუმცა, კომუნიკაციური აქტის ეფექტურობას განაპირობებს არა მხოლოდ ექსპრესიული საშუალებების სიუხვე, არამედ მათი კონტექსტუალური გამოყენება სამიზნე ჯგუფთან.

❖ როგორც ცნობილია, მსოფლიო ენები იმყოფებიან მუდმივი ცვალებადობის პროცესში ფონეტიკის, სინტაქსის, ლექსიკის და გენდერული დისკურსის თვალსაზრისით, თუმცა, ყველა ენა ამ ცვლილებას სხვადასხვა ტემპით განიცდის. ჩვენმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ინგლისურ ენაში ცვალებადობა გამოიხატა ისეთი ფენომენის ჩამოყალიბებით, როგორცაა ენის **ფემინიზაციის ტენდენცია**, როგორც მხატვრულ, ისე სოციალურ დისკურსში. ეს ცვლილებები განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ქართულისა და ინგლისურის ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირების დროს. ერთი და იგივე მოვლენა ერთ ენაში შეიძლება იყოს გენდერულად მარკირებული, ხოლო მეორეში - არა. აქედან გამომდინარე, ცვლილებები ენის გამოყენების წესებს შეეხო და საინტერესო იზომორფიზმები და ალომორფიზმები გამოიკვეთა.

❖ შესწავლილი ტექსტებით დადასტურდა თეზისი, რომ ქალ პერსონაჟთა მეტყველება ორიენტირებულია მხარდაჭერასა და თანაგრძნობაზე, კავშირის დამყარებაზე, ხოლო მამაკაცი პერსონაჟებისა - ინფორმაციის მიწოდებაზე, გავლენისა და უპირატესობის მოპოვებაზე. სიღრმისეულმა ანალიზმა მოგვცა გარკვეული განსხვავებები ქართულ და ინგლისურ ენაზე შექმნილ ორიგინალ ნაწარმოებებს შორის, რაც ორი ენის სტრუქტურული განსხვავებულობით აიხსნება.

❖ ქალები ორიენტირებულნი არიან **პროცესზე, პერცეფციასა და იმპლიკაციებზე** და სწორედ ამ მოტივაციაზეა აგებული მათი მეტყველების სტრატეგიები, ხოლო მამაკაცებისთვის უფრო მნიშვნელოვანია **ქმედება, იდეა და ანალიზი**, ანუ „კაცები უფრო მეტად საუბრობენ საკითხებზე, ხოლო ქალები მათ მიმართ დამოკიდებულებაზე“, რაც, ჩვენი დაკვირვების თანახმად, ლოკუციური აქტის გენდერულ მახასიათებლებამდე დაიყვანება.

❖ საყურადღებო განსხვავება გამოიკვეთა ფერთა გამის გამოყენების თვალსაზრისით. მამაკაცი ავტორებიც და კაცი პერსონაჟებიც ბევრად უფრო ნაკლებად იყენებენ ენაში არსებულ ფერის აღმნიშვნელ ლექსიკას და მის მრავალფეროვნებას, ვიდრე ქალი ავტორები,

რომელთა პერსონაჟებს ფერთა გამის შედარებით უხვი გამოყენება ახასიათებს.

ამდენად, გენდერული მეტყველების შესწავლა მეტად საინტერესო და თითქმის ამოუწურავი საკითხი აღმოჩნდა. კვლევის პროცესში დავრწმუნდით, რომ საკითხის სიღრმისეული შესწავლისათვის უმნიშვნელოვანესია სწორად შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია და საანალიზო მასალის მოცულობა. როგორც ცნობილია, გენდერული კვლევები ძირითადად სოციალურ, ფსიქოლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ ჭრილში მიმდინარეობს. ლიტერატურული წყაროების ისეთი ანალიზი, როგორც ჩვენ განვახორციელეთ, ხელს შეუწყობს ლინგვისტური კვლევების გაღრმავებას გენდერლექტივის სფეროში, რაც შედარებით ახალი დარგია და გზას გაგვიხსნის სამომავლოდ უფრო მნიშვნელოვანი კვლევებისთვის გენდერულად მარკირებული რეალიების შედარება-შეპირისპირების თვალსაზრისით.

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები ასახულია შემდეგ
პუბლიკაციებში:**

1. გრამატიკული და სოციალური სქესის კონტრასტული კვლევა სომერსეტ მოემის „წითურისა“ და ანიტა შრივის „პილოტის ცოლის“ მიხედვით. სამეცნიერო რეფერირებადი (peer reviewed) ჟურნალი „ენა და კულტურა“ N15, 2016, ქუთაისი, გამომცემლობა: „მერიდიანი“ (ISSN 1987-7232 გვ.107-117)
2. პერსონაჟთა ემოციის გამოხატვის ზოგიერთი მახასიათებლისთვის ქართული და ინგლისური მხატვრული ტექსტების მიხედვით. სამეცნიერო რეფერირებადი (peer reviewed) ჟურნალი „ენა და კულტურა“ N16, 2016 ქუთაისი, გამომცემლობა: „მერიდიანი“ (ISSN 1987-7232 გვ.108-121)
3. კოლოკვიალიზმები მხატვრულ დისკურსში ქართული და ინგლისურენოვანი მხატვრული ტექსტების ორიგინალებისა და თარგმანების მიხედვით, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, შრომები, 2017 ქუთაისი, გამომცემლობა: „მერიდიანი“ (ISSN 1987-7232 გვ.391-394)
4. Non Verbal Emotional Markers in Male and Female Literary Characters' Speech (According to English and Georgian Literary corpus), (ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველების არავერბალური ემოციური მარკერები ინგლისური და ქართული ლიტერატურული კორპუსის მიხედვით) The works of 2nd International Conference Science and Practice: A New level of Integration Scope Academic House (2016). Sheffield, Yorkshire, UK. (მე-2 საერთაშორისო კონფერენციის შრომები, მეცნიერება და პრაქტიკა აკადემიური სახლი ახალი დონის ინტეგრაცია, 2016 შეფილდი, იორკშირი, გაერთიანებული სამეფო) (ISBN-10:1 -941655-44-0 pgs: 93- 99)

Iakob Gogebashvili Telavi State University

With the right of manuscript

Maya Purstkhvanidze

**Gender Interrelations in Speech Acts of Literary Characters in Georgian
and English**

Dissertation Presented for the Degree (1005)

PhD in Philology

Abstract

Specialty: Typological Linguistics

Telavi
2017

The Dissertation has been carried out at the Department of Georgian Philology and the Department of Foreign Languages and Literature, Faculty of Humanities, Iakob Gogebashvili Telavi State University.

Scientific supervisors:

Manana Garibashvili, Professor
Nunu Geldiashvili, Professor

Reviewers:

Manana Rusieshvili, Professor
Tamila Zviadadze, Associate Professor

The defense of the dissertation will be held on 29 June 2017 at the meeting of the Dissertation Board of the Faculty of Humanities, Iakob Gogebashvili Telavi State University, building _____, room _____.

Address: 1, Kartuli Universiteti str.
Telavi, 2200, Georgia
Tel.: +995 350 27 24 01

The dissertation is available at the scientific library of the Iakob Gogebashvili Telavi State University and on web-site: www.tesau.edu.ge

Scientific Secretary of the Dissertation Board
Doctor of Philological Sciences,
Professor: **Nino Kochloshvili**

General Description of Dissertation

The dissertation presented herein “Gender Interrelations in Speech Acts of Literary Characters” is comprised of Introduction, three Chapters, Conclusions and two annexes. The introduction describes importance of dissertation theses, research goal, objectives, methods of analyses, scientific novelty and its practical-theoretical value.

Typological research of Gender Interrelation in Speech Acts of Literary Characters involves multifaceted study of research objective and making generalized conclusions. It is a complex socio-linguistic, structural and semantic system that triggers huge interest among linguists, lingvoculturologists and genderlect experts.

